

შპს „თბილისი ჰუავეი
ტექნოლოჯის კო.“

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს KPMG Georgia

ჯი ემ თი პლაზა

მე-5 სართული, 4, თავისუფლების მოედანი

თბილისი, საქართველო, 0105

ტელეფონი: +995 322 93 57 13

ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „თბილისი ჰუავეი ტექნოლოჯის კო.“-ს მესაკუთრეებს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „თბილისი ჰუავეი ტექნოლოჯის კო.“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მითითებული თარიღისთვის დასრულებული წლისთვის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს, და მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მის ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ები) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის თავში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და საქართველოში არსებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის ეთიკური მოთხოვნების გათვალისწინებით, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაბამის საფუძველს წარმოადგენს.

ხელმძღვანელობის და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს „კომპანიის“ უნარი, განაგრძოს ფუნქციონირება, საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით, საჭიროებისამებრ გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის აღნიშნული პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს „კომპანიის“ ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს ოპერაციები, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული ქმედებებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მიმოხილვაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობებს ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა „კომპანიის“ შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნი, აქვს თუ არა ადგილი არსებით განუსაზღვრელობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს „კომპანიის“ საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს „კომპანია“, შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.



შპს „თბილისი ჰუავეი ტექნოლოჯის კო.“
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
გვერდი 3

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი შედეგების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში შიდა კონტროლის მექანიზმებში აღმოჩენილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული „დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა“ გაიცა, არის

კარენ საფარიანი

შპს „KPMG Georgia“
თბილისი, საქართველო
2020 წლის 25 მარტი



შპს „თბილისი პუბლიკ ტექნოლოჯის კო.“
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
გვერდი 3

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი შედეგების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში შიდა კონტროლის მექანიზმებში აღმოჩენილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული „დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა“ გაიცა, არის

კარუნ საფარჯანი

შპს „KPMG Georgia“
თბილისი, საქართველო
2020 წლის 25 მარტი

შპს „თბილისი ჰუავეი ტექნოლოჯის კო.“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11,16	1,538	550
გრძელვადიანი აქტივები		1,538	550
მარაგები		438	227
სასესხო მოთხოვნა დაკავშირებული მხარეების მიმართ		-	826
სახელშეკრულებო აქტივები	6(გ)	1,418	3,431
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	3,132	8,303
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	9,394	580
მიმდინარე აქტივები		14,382	13,367
სულ აქტივები		15,920	13,917
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	333	333
გაუნაწილებელი მოგება	14	7,867	6,892
სულ კაპიტალი		8,200	7,225
საიჯარო ვალდებულებები	16	752	-
გრძელვადიანი ვალდებულებები		752	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	5,990	5,963
სახელშეკრულებო ვალდებულებები	15	376	516
საიჯარო ვალდებულებები	16	378	-
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		224	213
მიმდინარე ვალდებულებები		6,968	6,692
სულ ვალდებულებები		7,720	6,692
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		15,920	13,917

*კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვარს გამოიყენა, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. გადასვლის შერჩეული მეთოდების შედეგად, შესაძარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული, იხილეთ შენიშვნა 16.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და განთავსებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10 - 45 გვერდებზე.

შპს „თბილისი ჰუავეი ტექნოლოჯის კო.“
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლისათვის

'000 ლარი	შენიშვნა	2019	2018*
შემოსავალი	6	11,762	12,230
გაყიდვების თვითღირებულება	7	(7,801)	(9,367)
ბრუტო მოგება		3,961	2,863
გაყიდვების და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(4,542)	(3,480)
გაუფასურების აღდგენა სავაჭრო მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე	17(ბ)(ii)	1,010	1,195
სხვა საოპერაციო შემოსავალი		78	58
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		507	636
წმინდა ფინანსური შემოსავალი	9	468	364
მოგება დაბეგვრმდე		975	1,000
მოგების გადასახადის ხარჯი	10	-	-
მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		975	1,000

* კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვარს გამოიყენა, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. გადასვლის შერჩეული მეთოდების შედეგად, შესაძარის ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 25 მარტს და მისი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

დუან ლიანი
გენერალური დირექტორი

ვანგ ჰუიჰუი
ფინანსური დირექტორი


მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და განთავსებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10 - 45 გვერდებზე.

შპს „თბილისი ჰუავეი ტექნოლოჯის კო.“
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლისათვის


'000 ლარი	შენიშვნა	2019	2018*
შემოსავალი	6	11,762	12,230
გაყიდვების თვითღირებულება	7	(7,801)	(9,367)
ბრუტო მოგება		3,961	2,863
გაყიდვების და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(4,542)	(3,480)
გაუფასურების აღდგენა სავაჭრო მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე	17(ბ)(ii)	1,010	1,195
სხვა საოპერაციო შემოსავალი		78	58
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		507	636
წმინდა ფინანსური შემოსავალი	9	468	364
მოგება დაბეგვრმდე		975	1,000
მოგების გადასახადის ხარჯი	10	-	-
მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		975	1,000

* კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვარს გამოიყენა, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. გადასვლის შერჩეული მეთოდების შედეგად, შესაძარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 25 მარტს და მისი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:


დუან ლიანი
გენერალური დირექტორი




ვანგ ჰუიჰუი
ფინანსური დირექტორი

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და განთავსებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10 - 45 გვერდებზე.

შპს „თბილისი ჰუავეი ტექნოლოჯის კო.“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლისათვის

'000 ლარი	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	333	5,892	6,225
სულ სრული შემოსავალი			
წლის მოგება	-	1,000	1,000
სულ წლის სრული შემოსავალი	-	1,000	1,000
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	333	6,892	7,225
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს*	333	6,892	7,225
სულ სრული შემოსავალი			
წლის მოგება	-	975	975
სულ წლის სრული მოგება	-	975	975
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	333	7,867	8,200

* კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვარს გამოიყენა, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. გადასვლის შერჩეული მეთოდების შედეგად, შესაძარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და განთავსებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10 - 45 გვერდებზე.

’000 ლარი	შენიშვნა	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		22,405	8,391
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(10,544)	(7,350)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(2,234)	(3,589)
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული)/საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		9,627	(2,548)
გადახდილი პროცენტი		(29)	-
სხვა გადახდილი გადასახადები		(1,201)	(961)
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული)/საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		8,397	(3,509)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(105)	(106)
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები		-	(1,766)
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხების დაფარვა		850	1,052
გაცემულ სესხებზე პროცენტის დაფარვა		19	6
(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული)/საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		764	(814)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხები და კრედიტებიდან მიღებული ფულადი სახსრები		654	-
სესხების და კრედიტების დაფარვა		(644)	-
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(392)	-
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(382)	-
წმინდა (კლება)/მატება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		8,779	(4,323)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		580	5,041
ვალუტის კურსის ცვალებადობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		35	(138)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	13	9,394	580

* კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვარს გამოიყენა, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. გადასვლის შერჩეული მეთოდების შედეგად, შესაძარის ინფორმაცია არ არის გადანგარიშებული.

კომპანიამ მოახდინა შემდგენილი კლასიფიკაცია:

- ფულადი გადახდები საიჯარო გადახდების ძირის ნაწილისთვის წარმოაჩინა ფინანსური საქმიანობის სახით;
- ფულადი გადახდები საპროცენტო ნაწილისთვის წარმოაჩინა საოპერაციო საქმიანობის სახით, კომპანიის მიერ შერჩეული საპროცენტო გადახდების წარდგენის შესაბამისად.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და განთავსებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 10 - 45 გვერდებზე.

შენიშვნა	გვერდი	შენიშვნა	გვერდი
1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო	11	13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	20
2. აღრიცხვის საფუძველი	11	14. კაპიტალი და კაპიტალის მართვა	20
3. სამუშაო და წარდგენის ვალუტა	11	15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და სახელშეკრულებო ვალდებულებები	21
4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	12	16. იჯარები	21
5. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში	13	17. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა	23
6. შემოსავალი	15	18. პირობითი ვალდებულებები	28
7. გაყიდვების თვითღირებულება	18	19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	29
8. გაყიდვის და ადმინისტრაციული ხარჯები	18	20. შემდგომი მოვლენები	30
9. წმინდა ფინანსური შემოსავალი	18	21. შეფასების საფუძველი	30
10. მოგების გადასახადი	18	22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	30
11. ძირითადი საშუალებები	19	23. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	45
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20		

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

„კომპანიის“ საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, „კომპანია“ დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზრები ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს უქმნის საქართველოს ტერიტორიაზე მომუშავე კომპანიებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას „კომპანიის“ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(ბ) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „თბილისი ჰუავეი ტექნოლოჯის კო.“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად. „კომპანია“ დაფუძნდა 2008 წლის 20 მაისს და მისი იურიდიული მისამართია: ვაჟა-ფშაველას გამზირი №71, ვაკე-საბურთალოს რაიონი, 0186 თბილისი, საქართველო. საიდენტიფიკაციო კოდია 204542272.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს საქართველოში ადგილობრივი მობილური ოპერატორი კომპანიებისთვის სატელეკომუნიკაციო ქსელის, მოწყობილობების ინსტალაციის, პროგრამული უზრუნველყოფის განახლებისა და მიმდინარე ტექნიკურ მომსახურებებს.

„კომპანიის“ საქმიანობა მჭიდროდ უკავშირდება შპს ჰუავეი ინვესტმენტ ენდ ჰოლდინგ კო.-ს („ჰუავეი“) ხელმძღვანელობის ქვეშ არსებული ჯგუფის მოთხოვნებს, რომელიც მისი საბოლოო მშობელი კომპანიაა, და მდებარეობს შენჩენში (ჩინეთი). „ჰუავეი“ კერძო კომპანიაა, რომელიც მთლიანად მისი თანამშრომლების მფლობელობაშია.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია მე-19 შენიშვნაში.

2. აღრიცხვის საფუძველი

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“) სრულ შესაბამისობაში.

ეს არის კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება სადაც გამოყენებულია ფასს 16 „იჯარები“. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში აღწერილია მე-5-ე შენიშვნაში.

3. სამუშაო და წარდგენის ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც „კომპანიის“ სამუშაო ვალუტას წარმოადგენს. შესაბამისად, მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, თუ სხვაგვარად არ იქნება მითითებული.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ებთან შესაბამისობაში, რაც ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაზე და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონე სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაში კრიტიკული მსჯელობების და ასევე იმ ვარაუდებისა და შეფასებებთან დაკავშირებული უზუსტობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილებების მნიშვნელოვანი რისკის წინაშე დგანან, განხილულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 6 (დ) - ნაკისრი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები;
- შენიშვნა 16 - საიჯარო ვადა და სადისკონტო განაკვეთი; და
- შენიშვნა 17 (ბ)(ii) - საკრედიტო რისკი.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, „კომპანია“ შეძლებისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით:

- დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის.
- დონე 2: მონაცემები გარდა პირველ დონეში შემავალი მონაცემებისა, რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული).
- დონე 3: მონაცემები აქტივის ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეყრდნობა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

„კომპანია“ მოძრაობას სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღიარებს, რა დროსაც ადგილი ჰქონდა ცვლილებას.

დამატებითი ინფორმაცია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ მოცემულია შენიშვნაში 17(ა) – საანგარიშგებო კლასიფიკაცია და სამართლიანი ღირებულება.

5. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში

კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა.

ფასს 16-ს შემოაქვს ერთიანი, საბალანსო იჯარების აღრიცხვის მოდელი მოიჯარეებისთვის. შედეგად, კომპანია, როგორც მოიჯარე, აღიარებს აქტივებს გამოყენების უფლებით, რაც ასახავს მის უფლებას გამოიყენოს აღნიშნული აქტივები და საიჯარო ვალდებულებებს, რაც ასახავს მის ვალდებულებას განახორციელოს საიჯარო გადახდები. მეიჯარეს ანგარიშგება რჩება მსგავსი ადრე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკებისა.

კომპანიამ გამოიყენა ფასს 16 მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით და აქტივი გამოყენების უფლებით შეაფასა საიჯარო ვალდებულების ტოლი ოდენობით (კორექტირებული ავანსებით და დარიცხვებით). შესაბამისად, 2018 წლისთვის წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაცია არ ყოფილა გადაანგარიშებული - ანუ წარმოდგენილია ადრე აღრიცხულის შესაბამისად, ბასს 17-ის და დაკავშირებული ინტერპრეტაციების ფარგლებში. სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებების დეტალები განმარტებულია ქვემოთ. დამატებით, ფასს 16-ის ახსნა-განმარტების მოთხოვნები ზოგადად არ ყოფილა გამოყენებული შესადარის ინფორმაციაზე.

(ა) იჯარის განმარტება

ადრე, კომპანია ხელშეკრულების დადებისას განსაზღვრავდა იყო თუ არა ან შეიცავდა თუ არა გარიგება იჯარას ბასს 17 *იჯარების* და ფასიკ 4 *როგორ განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა გარიგება იჯარას* - ფარგლებში. კომპანია ამჟამად აფასებს არის თუ არა ან შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას იჯარის ახალი განმარტების მიხედვით. ფასს 16-ის ფარგლებში, ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ხელშეკრულებით გადაიცემა გარკვეული აქტივის გამოყენების უფლება, გარკვეული პერიოდით, ანაზღაურების სანაცვლოდ.

ფასს 16-ზე გადასვლისას, კომპანიამ გარიგებების იჯარებად კლასიფიკაციისთვის პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება აირჩია. კომპანიამ ფასს 16 მხოლოდ ადრე იჯარებად კლასიფიცირებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში გამოიყენა. ხელშეკრულებები რომლებიც არ იყო კლასიფიცირებული იჯარებად ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში არ ყოფილა გადაფასებული იჯარის არსებობაზე ფასს 16-ის ფარგლებში. მაშასადამე, იჯარის განმარტება ფასს 16-ის ფარგლებში გამოყენებულ იქნა მხოლოდ 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ დადებულ ან შეცვლილ ხელშეკრულებებზე.

(ბ) როგორც მოიჯარე

როგორც მოიჯარე, კომპანია იჯარით ძირითადად საოფისე ფართს იღებს. კომპანია ადრე იჯარებს საოპერაციო ან ფინანსური იჯარების სახით აკლასიფიცირებდა, მისი შეფასების მიხედვით გადასცემდა თუ არა იჯარა კომპანიას შესაბამისი აქტივის მფლობელობის არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. ფასს 16-ის ფარგლებში, კომპანია, აღიარებს აქტივებს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებებს - ანუ აღნიშნული იჯარები აყვანილია ბალანსზე.

იჯარის კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადებისას ან ცვლილებისას, კომპანია ანაწილებს ხელშეკრულებაში მოცემულ ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე, მათი შესაბამისი, ცალკე აღებული ფასის მიხედვით

(ი) საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებული იჯარები ბასს 17-ის ფარგლებში

ადრე, კომპანია ქონების იჯარებს, ბასს 17-ის ფარგლებში, საოპერაციო იჯარებად აკლასიფიცირებდა. გადასვლისას, აღნიშნული იჯარებისთვის, საიჯარო ვალდებულებები შეფასდა ნარჩენი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, დადისკონტირებული კომპანიის 2019 წლის 1 იანვრისთვის არსებული ზღვრული სასესხო განაკვეთით. აქტივები გამოყენების უფლებით შეფასდა საიჯარო ვალდებულების ტოლი ოდენობით, კორექტირებული ნებისმიერი წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადახდებით.

კომპანიამ გამოიყენა რიგი პრაქტიკული მიზანშეწონილობა ფასს 16-ის იმ იჯარებზე გამოყენებისას რომლებიც ადრე, ბასს 17-ის ფარგლებში, საოპერაციო იჯარებად იყო კლასიფიცირებული. კერძოდ, კომპანიამ:

- არ აღიარა აქტივები გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებები იჯარებისთვის რომელთათვისაც საიჯარო ვადა მთავრდება თავდაპირველი გამოყენების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში;
- გამოიყენა წარსული გამოცდილება საიჯარო ვადის განსაზღვრისას

(გ) გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ფასს 16-ზე გადასვლისას, კომპანიამ აღიარა აქტივები გამოყენების უფლებით საიჯარო ვალდებულებები 1,272 ათასი ლარის ტოლი ოდენობით.

საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებული იჯარებისთვის საიჯარო ვალდებულებების შეფასებისას, კომპანიამ საიჯარო გადახდების დისკონტირება მისი 2019 წლის 1 იანვრისთვის არსებული ზღვრული სასესხო განაკვეთის გამოყენებით განახორციელა. 7%-იანი საშუალო შეწონილი განაკვეთი გამოყენებულ იქნა აშშ დოლარში დენომინირებული საიჯარო გადახდებისთვის.

‘000 ლარი	1 იანვარი 2019
საოპერაციო საიჯარო ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, როგორც განმარტებულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ბასს 17-ის ფარგლებში	1,951
დადისკონტირებული 2019 წლის 1 იანვრისთვის არსებული ზღვრული სასესხო განაკვეთით	1,526
- აღიარებისგან გათავისუფლება გადასვლისას 12 თვეზე ნაკლები საიჯარო ვადის მქონე იჯარებისთვის	(254)
2019 წლის 1 იანვრისთვის აღიარებული საიჯარო ვალდებულებები	1,272

(დ) წლიური გავლენა

ფასს 16-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, იყო შემდეგი:

‘000 ლარი	ოფისის იჯარა
2019	
„აქტივები გამოყენების უფლებით“ ნაშთი 1 იანვარს	1,272
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	(260)
„აქტივები გამოყენების უფლებით“ ნაშთი 31 დეკემბერს	1,012
საიჯარო ვალდებულება 2019 წლის 1 იანვრისთვის	1,272
საპროცენტო ხარჯი	101
უცხოური გაცვლითი კურსიდან მიღებული წმინდა ზარალი	149
საიჯარო გადახდები	(392)
საიჯარო ვალდებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	1,130

რიგი სხვა ახალი სტანდარტები და კორექტირებები არსებულ სტანდარტებში შევიდა ძალაში 2019 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არ იქონიეს არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, გარდა ზემოთ აღწერილისა.

6. შემოსავალი

(ა) შემოსავლის წყაროები

‘000 ლარი	2019	2018
კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი	11,762	12,230

(ბ) კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების ჩაშლა

ცხრილში მოცემულია საქართველოში კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის ჩაშლა ძირითადი მომსახურების ხაზების და შემოსავლის აღიარების ვადების მიხედვით.

31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

‘000 ლარი	2019	2018
ძირითადი მომსახურების ხაზები		
ქსელის ტექნიკური მომსახურება	7,346	6,012
აპარატურის ინსტალაცია, ექსპლუატაციაში გაშვება და ინტეგრაცია	2,255	3,608
გაყიდვების მხარდაჭერი მომსახურება	1,504	1,701
პროგრამული განახლების ინსტალაცია	553	420
საგარანტიო მომსახურება	104	72
ტრენინგი	-	417
	11,762	12,230
შემოსავლის აღიარების ვადები		
პროდუქტები და მომსახურება გადაცემული გარკვეული დროის მანძილზე	11,210	11,810
პროდუქტები და მომსახურება გადაცემული დროის გარკვეულ მომენტში	552	420
შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	11,762	12,230

(გ) სახელშეკრულებო ნაშთები

შემდეგი ცხრილი ასახავს ინფორმაციას მოთხოვნებზე, სახელშეკრულებო აქტივებზე და კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ვალდებულებებზე.

‘000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მოთხოვნები რომლებიც შედის „სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში“	12	3,132	7,641
სახელშეკრულებო აქტივები		1,418	3,431
სახელშეკრულებო ვალდებულებები	15	(376)	(516)

სახელშეკრულებო აქტივები ძირითადად უკავშირდება კომპანიის უფლებებს მიიღოს შესრულებული (მაგრამ არა დარიცხული) სამუშაოს, ანგარიშგების თარიღისთვის გაწეული პროგრამული განახლების და შეკეთების მომსახურების, ანაზღაურება. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელშეკრულებო აქტივების ოდენობაზე გავლენა იქონია გაუფასურების რეზერვმა 71 ათასი ლარის ოდენობით (2018: 515 ათასი ლარი). სახელშეკრულებო აქტივები გადადის მოთხოვნებში როდესაც უფლებები ხდება უპირობო. აღნიშნული როგორც წესი ხდება მაშინ როდესაც კომპანია კომერციულ ინვოისს გასცემს კლიენტზე.

სახელშეკრულებო ვალდებულებები ძირითადად უკავშირდება კლიენტებზე, შესრულებული სამუშაოს წინსწრებით, გაცემულ კომერციულ ინვოისებს და რომლებისთვისაც შემოსავალი აღიარდება გარკვეული დროის მანძილზე. 140 ათასი ლარის ოდენობის თანხა პერიოდის დასაწყისში აღიარებული სახელშეკრულებო ვალდებულებებში, 2019 წლის 31 დეკემბრით

დასრულებული პერიოდისთვის აღიარებულ იქნა როგორც შემოსავალი (2018: 227 ათასი ლარი). სახელშეკრულებო ვალდებულება, 376 ათასი ლარის ოდენობით 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, (2018 წლის 31 დეკემბერი: 516 ათასი ლარი) მოსალოდნელია რომ იქნება აღიარებული შემოსავლის სახით შემდეგი წლის განმავლობაში.

ინფორმაცია დარჩენილი ნაკისრი ვალდებულებების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომლებსაც მოსალოდნელი ვადა 1 წელიწადი ან ნაკლები აქვთ, არ არის მოწოდებული, რაც დაშვებულია ფასს 15-ის მიხედვით.

(დ) ნაკისრი ვალდებულებების შესრულების და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები

შემოსავალი აღირიცხება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ოდენობის მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც ის გადასცემს კლიენტს უფლებებს საქონელზე ან მომსახურებაზე.

მოცემული ცხრილი გვაწვდის ინფორმაციას კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხარისხის და დროულობის შესახებ, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების და დაკავშირებული შემოსავლის აღიარების პოლიტიკების ჩათვლით:

მომსახურების სახეობა	ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხარისხი და დროულობა, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების ჩათვლით	შემოსავლის აღიარების პოლიტიკები
ქსელის ტექნიკური მომსახურება	ტექნიკური მომსახურება წარმოადგენს კომპანიის მუდამ მზადყოფნაში არსებულ ვალდებულებას, რომ მიაწოდოს კლიენტებს დისტანციური ტექნიკური მომსახურება, ქსელის და აღჭურვილობის მუშა მდგომარეობის შემოწმება და ქსელის აუდიტორული მომსახურება. კლიენტები, როგორც წესი, იხდიან თვიურად/კვარტალურად თანაბარ ოდენობებს კონტრაქტის ხანგრძლივობის მანძილზე. კონტრაქტები, როგორც წესი, ფორმდება 1-2 წლიანი პერიოდით. ინვოისები, როგორც წესი, გადაიხდება 30 დღის ვადაში.	შემოსავალი, აღიარდება დროის მანძილზე მომსახურების მიწოდებასთან ერთად, გასული დროის მითითებით.
აპარატურის მონტაჟი, ექსპლუატაციაში შეყვანა და ინტეგრაცია	მსგავსი ტიპის კონტრაქტის მიხედვით, კომპანია აინსტალირებს კლიენტის მიერ ფლობილ აპარატურის აღჭურვილობას კლიენტის ტერიტორიაზე, ამოწმებს მისი ფუნქციების შესაბამისობას გამიზნულთან მიმართებაში და აინტეგრირებს ახალ აღჭურვილობას არსებულ ქსელში. მსგავსი ხელშეკრულებების ფარგლებში, კომპანია გასცემს კლიენტებზე გარანტიებს შესრულებულ სამუშაოზე. იხილეთ სააღრიცხვო პოლიტიკები გარანტიებისთვის ქვემოთ მოცემულ სექციაში „შემოსავალი საგარანტიო მომსახურებიდან“. მსგავსი ხელშეკრულების მიხედვით, კლიენტი აკონტროლებს შესრულებულ სამუშაოს აპარატურის მონტაჟის, ექსპლუატაციაში შეყვანის და ინტეგრირების პროცესში. მსგავსი მომსახურება გაიწევა აღჭურვილობაზე, რომელიც უკვე მდებარეობს კლიენტის ტერიტორიაზე და კომპანიის მიერ გაწეული სამუშაო აუმჯობესებს კლიენტის მიერ ფლობილი აღჭურვილობის ქმედითუნარიანობას.	შემოსავალი და მასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება დროის განმავლობაში. შემოსავალი აღიარდება ეტაპობრივად „ხარჯი-ხარჯთან“ მეთოდის გამოყენებით. დაკავშირებული ხარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში გაწვევითანავე. თუ ერთი ხელშეკრულების ფარგლებში შეთანხმებული მომსახურება გაიწევა სხვადასხვა სააღრიცხვო პერიოდებში, მაშინ გადახდილი ოდენობა ნაწილდება შესაბამისი მომსახურების ცალკ-ცალკე აღებული გასაყიდი ფასის მიხედვით. ცალკ-ცალკე გასაყიდი ფასი დგინდება „მოსალოდნელ ხარჯებს დამატებული მოგების მარჟა“ მიდგომის გამოყენებით.

მომსახურების სახეობა	ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხარისხი და დროულობა, მნიშვნელოვანი გადახდის პირობების ჩათვლით	შემოსავლის აღიარების პოლიტიკები
	ინვოისები გაიცემა სახელშეკრულებო პირობების მიხედვით და როგორც წესი უნდა იყოს გადახდილი 30 დღის ვადაში. გასაინვოისებელი თანხები აღიარდება, როგორც სახელშეკრულებო აქტივები.	თუ კომპანიამ აღიარა შემოსავალი, მაგრამ ჯერ არ არის უფლებამოსილი რომ გასცეს ინვოისი, მაშინ მისი უფლებები ანაზღაურების მიღებაზე აღიარდება, როგორც სახელშეკრულებო აქტივი. სახელშეკრულებო აქტივი გადადის მოთხოვნებში როდესაც გადახდის მიღების უფლება ხდება უპირობო. მიღებული ავანსები შედის სახელშეკრულებო ვალდებულებებში.
გაყიდვების მხარდამჭერი მომსახურება	გაყიდვების მხარდამჭერი მომსახურება მოიცავს მარკეტინგს და სარეკლამო ღონისძიებებს რომლებიც მიზნად ისახავს „Trading Hub“-ს (კომპანიათაშორისი საწარმო) საქონლის გაყიდვის მაქსიმუმის მოცემულ ტერიტორიაზე, და/ან სხვა დაკავშირებული მომსახურებისა რომელზეც მხარეები თანხმდებიან დროდადრო. მომსახურების საკომისიო თითოეული კონტრაქტისთვის არის მომსახურების ხარჯების ჯამს დამატებული ფასნამატი.	შემოსავალი ასეთი მომსახურებებისთვის აღიარდება დროის განმავლობაში. თუ მომსახურებები სრულდება ძალიან მოკლე ვადაში, ასეთი მომსახურებებისთვის შემოსავალი აღიარდება მომსახურების გაწევის დასრულებისას.
პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციის მომსახურება	მსგავსი ხელშეკრულებების მიხედვით, კომპანია ახორციელებს პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციის მომსახურებას კლიენტებზე. კლიენტი იღებს სარგებელს და ნაკისრი ვალდებულება ითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროგრამული უზრუნველყოფა დაინსტალირებულია. ამ მომენტში გამოიწერება ინვოისები. ინვოისები როგორც წესი გადაიხდება 30 დღის ვადაში.	შემოსავალი აღიარდება დროის იმ მომენტში, როდესაც კლიენტი ჩაიბარებს საქონელსა და მომსახურებას, რადგან კომპანიას არ აქვს იურიდიული უფლება მოითხოვოს გადახდა ამ მომენტზე ადრე დასრულებული მომსახურებისთვის.
ტრენინგები	მსგავსი ხელშეკრულებების მიხედვით, კლიენტი თანადროულად იღებს და მოიხმარს საწარმოს მიერ გაწეული მომსახურების სარგებელს მაშინ, როდესაც საწარმო გასწევს აღნიშნულ მომსახურებას. მსგავსი ხელშეკრულებების მიხედვით, კომპანია მომსახურების გასწევს დროის მოკლე ვადაში. ინვოისები გაიცემა სახელშეკრულებო პირობების მიხედვით და, როგორც წესი, გადაიხდება 30 დღის განმავლობაში.	შემოსავალი მსგავსი მომსახურებებისთვის აღიარდება დროის განმავლობაში. თუ მომსახურებები სრულდება ძალიან მოკლე ვადაში, ასეთი მომსახურებებისთვის შემოსავალი აღიარდება მომსახურების გაწევის დასრულებისას.
შემოსავალი საგარანტიო მომსახურებიდან	კომპანია უზრუნველყოფს „განგრძობილ გარანტიას“, როგორიცაა კლიენტებისთვის, აღჭურვილობის მწარმოებელი კომპანიისგან მიწოდებულ სტანდარტულ გარანტიაზე დამატებით 1-3 წლამდე განგრძობილი გარანტია რადგანაც განგრძობილი გარანტია გაიცემა მესამე მხარეების მიერ გაცემულ სტანდარტულ გარანტიაზე დამატებით, მსგავსი გარანტია მიჩნეულია, როგორც ცალკე ნაკისრი ვალდებულება. კომპანია არ უზრუნველყოფს კლიენტებს სტანდარტული გარანტიით.	შემოსავალი მსგავსი მომსახურებისთვის აღიარდება თანაბრად საგარანტიო პერიოდის მანძილზე.

7. გაყიდვების თვითღირებულება

‘000 ლარი	2019	2018
საინჟინრო მომსახურებები	5,398	5,791
პერსონალის ხარჯები	1,395	2,228
საიჯარო ხარჯი	283	323
ცვეთის ხარჯი	173	26
სატრანსპორტო საშუალებების ხარჯი	83	7
სამგზავრო ხარჯი	40	48
სატელეკომუნიკაციო ხარჯი	14	-
გადაზიდვის ხარჯი	7	11
საოფისე ხარჯი	7	3
როიალტი	-	797
სხვა	401	133
	7,801	9,367

8. გაყიდვის და ადმინისტრაციული ხარჯები

‘000 ლარი	2019	2018
აუთოსინგის ხარჯები	1,833	988
პერსონალის ხარჯები	1,557	699
ცვეთის ხარჯი	374	326
პროფესიული მომსახურების საფასური	282	265
საიჯარო ხარჯი	114	362
სატრანსპორტო საშუალების ხარჯი	61	20
მგზავრობის ხარჯი	47	147
გადაზიდვის ხარჯი	9	18
საოფისე ხარჯი	9	16
სატელეკომუნიკაციო ხარჯი	7	13
სარეკლამო ხარჯი	-	4
სხვა	249	622
	4,542	3,480

9. წმინდა ფინანსური შემოსავალი

‘000 ლარი	2019	2018
აღიარებული მოგებასა ან ზარალში		
ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული წმინდა მოგება	539	338
საპროცენტო შემოსავალი	30	26
ფინანსური შემოსავალი	569	364
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	(101)	-
ფინანსური ხარჯები	(101)	-
წმინდა ფინანსური შემოსავალი აღიარებული მოგებასა ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში	468	364

10. მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი კორპორატიული მოგების გადასახადის რეფორმის თაობაზე (ასევე ცნობილი, როგორც კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი), რომელსაც დაბეგვრის მომენტი გადააქვს მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საგადასახადო პერიოდებისთვის.

საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, გადასახადის ჩათვლა შესაძლებელია 2008-2016 წლებში გაუნაწილებელ მოგებაზე მიმდინარე გადახდილი გადასახადისთვის, თუ ეს მოგება განაწილებულია 2017 ან მომდევნო წლებში. 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას შეუძლია მოითხოვოს გადასახადის ჩათვლა 2020-ში და შემდგომ წლებში განაწილებული მოგებისთვის 873 ათასი ლარის ოდენობით.

11. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ელექტრონული აღჭურვილობა	აქტივი გამოყენების უფლებით	სხვა	სულ
თვითღირებულება						
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	25	139	929	-	163	1,256
შესყიდვები	-	-	131	-	89	220
გაყიდვები	-	(12)	(15)	-	-	(27)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	25	127	1,045	-	252	1,449
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	25	127	1,045	-	252	1,449
აქტივი გამოყენების უფლებით აღიარება ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენებისას	-	-	-	1,272	-	1,272
კორექტირებული ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	25	127	1,045	1,272	252	2,721
შესყიდვები	-	-	263	-	-	263
გაყიდვები	(3)	(1)	(51)	-	(3)	(58)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	22	126	1,257	1,272	249	2,926
ცვეთა						
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	(3)	(16)	(536)	-	(13)	(568)
ცვეთის დარიცხვა წლის განმავლობაში	(2)	(27)	(315)	-	(8)	(352)
გაყიდვები	-	11	10	-	-	21
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	(5)	(32)	(841)	-	(21)	(899)
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	(5)	(32)	(841)	-	(21)	(899)
აქტივი გამოყენების უფლებით აღიარება ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენებისას	-	-	-	-	-	-
კორექტირებული ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	(5)	(32)	(841)	-	(21)	(899)
ცვეთის დარიცხვა წლის განმავლობაში	(2)	(24)	(240)	(260)	(19)	(545)
გაყიდვები	-	-	53	-	3	56
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	(7)	(56)	(1,028)	(260)	(37)	(1,388)
საბალანსო ღირებულებები						
2018 წლის 1 იანვარს	22	123	393	-	150	688
2018 წლის 31 დეკემბერს	20	95	204	-	231	550
2019 წლის 31 დეკემბერს	15	70	229	1,012	212	1,538

გაყიდვების თვითღირებულებასა და გაყიდვებისა და ადმინისტრაციულ ხარჯებზე დარიცხული ცვეთის ხარჯი განხილულია მე-7 და მე-8 შენიშვნებში, შესაბამისად.

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

‘000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო მოთხოვნები		3,270	8,345
სხვა მოთხოვნები		-	661
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		3,270	9,006
გამოკლებული: უიმედო ვალის რეზერვი	17(ბ)(ii)	(138)	(703)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა		3,132	8,303

„კომპანიის“ დამოკიდებულება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი განხილულია მე-17 შენიშვნაში.

13. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაშთები ბანკში	9,394	580
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში	9,394	580

2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკებში არსებული ფულადი ნაშთები არც გაუფასურებული და არც ვადაგადაცილებულია. „კომპანიის“ დამოკიდებულება საპროცენტო რისკზე და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განხილულია მე-17 შენიშვნაში.

14. კაპიტალი და კაპიტალის მართვა

(ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს „კომპანიის“ სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში მოცემული კაპიტალის ნომინალურ რაოდენობას.

‘000 ლარი	2019	2018
გამოშვებული და გადახდილი საწესდებო კაპიტალი		
1 იანვრის მდგომარეობით	333	333
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	333	333

(ბ) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „კომპანიის“ გასანაწილებელი რეზერვები შეზღუდულია „კომპანიის“ ფასს-ების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული გაუნაწილებელი მოგების ნაშთით.

(გ) კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა კომპანიის მიზანია უზრუნველყოს ძლიერი კაპიტალის ბაზა ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებების დაკმაყოფილებისა და ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. ეს მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვის, კომპანიის შემოსავლების და მოგების და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების მუდმივი მონიტორინგის გზით, რომელიც ძირითადად ფინანსდება კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადებით.

კომპანიის სესხის კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

‘000 ლარი	2019	2018
სულ ვალდებულებები	7,719	6,692
გამოკლებული: ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	(9,394)	(580)
წმინდა სესხი	(1,675)	6,112
 სულ კაპიტალი	 8,200	 7,225
სესხის კაპიტალთან თანაფარდობა 31 დეკემბრის მდგომარეობით	(0.20)	0.85

კომპანიის კაპიტალის მართვის მიდგომაში არ ყოფილა ცვლილებები წლის განმავლობაში. კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალის მოთხოვნებს.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები და სახელშეკრულებო ვალდებულებები

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ვალდებულებები დაკავშირებული მხარის მიმართ	2,832	1,874
დარიცხული ხარჯი	1,887	2,674
სავაჭრო ვალდებულებები	726	760
სახელფასო ვალდებულებები	506	645
სახელშეკრულებო ვალდებულებები	376	516
სხვა ვალდებულებები	38	10
	6,365	6,479

„კომპანიის“ დამოკიდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებულ სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე განხილულია მე-17 შენიშვნაში.

16. იჯარები

(ა) იჯარები როგორც მოიჯარე

კომპანიას, როგორც მოიჯარეს აქვს რამოდენიმე საიჯარო ხელშეკრულება ადგილობრივ კომპანიებთან. იჯარები როგორც წესი 1-დან 5-წლამდე გრძელდება, კონკრეტულ შემთხვევებში, იჯარის გაგრძელების შესაძლებლობით აღნიშნული თარიღის შემდეგ. 2019 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 1 იანვარს კომპანია ძირითადად იჯარით იღებს საოფისე ფართებს.

კომპანია ასევე იჯარით იღებს ქონებას სხვადასხვა მიზნისთვის (ბინები უცხოელი თანამშრომლებისთვის, კაფეტერიის სივრცე). აღნიშნული წარმოადგენს მოკლევადიან იჯარებს. კომპანიამ აირჩია არ აღიაროს აქტივები გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებები აღნიშნული იჯარებისთვის. საიჯარო ხარჯები პირდაპირ აღრიცხულია მოგებისა ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ადრე, აღნიშნული იჯარები კლასიფიცირებული იყო საოპერაციო იჯარებად ბასს 17-ის ფარგლებში.

ინფორმაცია იჯარებზე რომლებშიც კომპანია მოქმედებს როგორც მოიჯარე და აღრიცხავს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას, წარმოდგენილია ქვემოთ:

აქტივები გამოყენების უფლებით

‘000 ლარი	<u>საოფისე ფართები</u>
2019	
ნაშთი 1 იანვარს	1,272
ცვეთის დარიცხვა წლის განმავლობაში	(260)
ნაშთი 31 დეკემბერს	<u>1,012</u>

მოგებასა ან ზარალში აღიარებული ოდენობები

‘000 ლარი	
2019 – იჯარები ფასს 16-ის ფარგლებში	
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	101
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	<u>272</u>
2018 – საოპერაციო იჯარები ბასს 17-ის ფარგლებში	
საიჯარო ხარჯი	<u>362</u>

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში აღიარებული ოდენობები

‘000 ლარი	<u>2019</u>
სულ ფულადი სახსრების გადინება იჯარებისთვის	<u>392</u>

(ბ) საიჯარო ვადა და გახანგრძლივების შესაძლებლობები

კომპანია საიჯარო ხელშეკრულებებში არსებულ იჯარის მოქმედების ვადას ფართო ინტერპრეტაციას უკეთებს. საიჯარო ვადა ასახავს კომპანიის გონივრულ შეფასებას იმ პერიოდისა, რომლის განმავლობაშიც გამოყენებული იქნება შესაბამისი აქტივი. საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანია მის მსჯელობას ხელშეკრულების და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე აფუძნებს, და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც იძლევა საშუალებას, რომ ფაქტორები როგორებიცაა ეკონომიკური ჯარიმები, საკანონმდებლო მიდგომა იჯარის განახლების მიმართ და მომავალი ცვლილებები რეგულაციაში, იყოს ეფექტურად გათვალისწინებული საიჯარო ვადის შეფასებაში.

იჯარის მოქმედების პერიოდის დადგენისას, კომპანია ასევე ითვალისწინებს ფიქსირებული საიჯარო გაუმჯობესებების მიტოვების ან დაშლის ხარჯებს, ადგილმდებარეობის შეცვლის ხარჯს და ა.შ.

საოფისე ფართებთან დაკავშირებული საიჯარო ხელშეკრულებები ძალაშია 2023 წლამდე წინასწარ განსაზღვრული საიჯარო გადახდებით, სადაც:

- პერიოდი 2021 წლამდე – თუ მოიჯარე შეწყვიტავს ხელშეკრულებას, ჯამური სახელშეკრულებო საიჯარო გადახდები 2021 წლამდე მაინც ექვემდებარება დაფარვას; მეიჯარეს არ აქვს უფლება შეწყვიტოს ხელშეკრულება;
- პერიოდი 2021 წლიდან 2023 წლამდე – ორივეს, მოიჯარეს და მეიჯარეს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულება, შეწყვეტამდე 6 თვით ადრე შეტყობინების საფუძველზე;
- პერიოდი 2023 წლის შემდეგ – ხელშეკრულება ავტომატურად არის განახლებადი ყოველ წელს ერთი დამატებითი წლით, იმ შემთხვევაში თუ არც მოიჯარე და არც მეიჯარე არ გამოიყენებს დაფარვის თარიღამდე 6 თვით ადრე შეწყვეტის შეტყობინების წესს

კომპანიამ გაანალიზა ყველა შესაბამისი ფაქტი და გარემოება და დაასკვნა, რომ 2019 წლის 1 იანვრისთვის ზემოაღნიშნული საიჯარო ხელშეკრულებების ნარჩენი საიჯარო ვადა არის 5 წელი.

17. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხდება აქტივის გაყიდვისას მიღებული ან ვალდებულების გადასაცემად გადახდილი ფასის მისაახლოებლად ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ ჩვეულებრივ ოპერაციაში შეფასების თარიღისთვის. თუმცა, გაურკვევლობების და სუბიექტური მსჯელობის გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში რეალიზებადი ღირებულება.

„კომპანია“ ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკის გამოყენებით განსაზღვრა. შეფასების ტექნიკის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრებამდე მისვლა. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება გაანგარიშდება მომავალი ძირითადი თანხის და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირდება პროცენტის საბაზრო განაკვეთით ანგარიშგების თარიღისთვის.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ „კომპანიის“ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას უახლოვდება.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

„კომპანია“ ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით დამოკიდებულია შემდეგ რისკებზე:

- a) საკრედიტო რისკი (იხილეთ 17(ბ)(ii));
- b) ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ 17(ბ)(iii));
- c) საბაზრო რისკი (იხილეთ 17(ბ)(iv)).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აქვს მთლიანი პასუხისმგებლობა „კომპანიის“ რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და მიმოხილვაზე და ის პასუხს აგებს „კომპანიის“ რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე და მისი საქმიანობის შესახებ აქციონერებისთვის რეგულარულ ანგარიშგებაზე.

„კომპანიის“ რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად განიხილებიან ბაზრის პირობებისა და „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტებისა და პროცედურების გამოყენებით, „კომპანიის“ მიზანს წარმოადგენს შეიმუშაოს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომელშიც ყველა თანამშრომელს ესმის მისი ფუნქცია და ვალდებულება.

აქციონერები თვალყურს ადევნებენ ხელმძღვანელის მიერ „კომპანიის“ რისკების მართვის პოლიტიკებსა და პროცედურებთან შესაბამისობის კონტროლს და მიმოხილავენ რისკების მართვის სტრუქტურის ადეკვატურობას „კომპანიის“ წინაშე არსებულ რისკებთან მიმართებაში.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური ზარალის რისკი, როდესაც კლიენტი ან ფინანსური დოკუმენტის ხელშემკვრელი მხარე ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ის ძირითადად წარმოიშობა სავაჭრო მოთხოვნებიდან და სახელშეკრულებო აქტივებიდან.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება მაქსიმალურ საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებას წარმოადგენს.

კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილ სავაჭრო მოთხოვნებსა და სახელშეკრულებო აქტივებზე მოგებაში ან ზარალში აღიარებულმა გაუფასურების აღდგენამ 1,010 ათასი ლარი შეადგინა (2018: გაუფასურების ზარალი 1,195 ათასი ლარის ოდენობით).

სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები

„კომპანიის“ საკრედიტო რისკზე დამოკიდებულებაზე მოქმედებს თითოეული კლიენტის ინდივიდუალური მახასიათებლები, ასევე ფაქტორები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ „კომპანიის“ კლიენტთა ბაზის საკრედიტო რისკზე, მათ შორის იმ ინდუსტრიის და ქვეყნის ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკზე, რომელშიც ოპერირებენ კლიენტები. 2019 წელს „კომპანიის“ შემოსავლის დაახლოებით 60% (2018: 62%) უკავშირდება სავაჭრო ოპერაციებს ერთ კლიენტთან.

ხელმძღვანელობამ შეიმუშავა საკრედიტო პოლიტიკა რომლის მიხედვითაც ყოველი კლიენტი განიხილება ინდივიდუალურად მის კრედიტუნარიანობაზე, სანამ კომპანია მას სტანდარტულ გადახდისა და მიწოდების პირობებს შესთავაზებს. კომპანიის შეფასება მოიცავს გარე რეიტინგებს, თუ ისინი ხელმისაწვდომია, ფინანსურ ანგარიშგებებს, საკრედიტო სააგენტოს ინფორმაციას, ინდუსტრიულ ინფორმაციას და ზოგ შემთხვევაში საბანკო მონაცემებს. თითოეული კლიენტისთვის წესდება გაყიდვების ლიმიტები და გადაიხდება რეგულარულად. ნებისმიერი გაყიდვები რომელიც აჭარბებს ლიმიტებს საჭიროებს დადასტურებას.

„კომპანიის“ კლიენტების უმეტესობა ოპერაციებს ახორციელებდა „კომპანიასთან“ სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. კლიენტების საკრედიტო რისკის შემოწმებისას, კლიენტები ჯგუფდება მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, მათ შორის მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, ასაკობრივი პროფილის, ხანდაზმულობის და წარსული ფინანსური სირთულეების არსებობის გათვალისწინებით. სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები უკავშირდება კომპანიის კლიენტებს.

„კომპანია“ სავაჭრო მოთხოვნებსა და სახელშეკრულებო აქტივებთან მიმართებაში არ მოითხოვს უზრუნველყოფას.

„კომპანია“ ადგენს გაუფასურების რეზერვს, რომელიც წარმოადგენს მოსალოდნელი ზარალის მისეულ შეფასებას სავაჭრო მოთხოვნებთან და სახელშეკრულებო აქტივებთან მიმართებაში.

„კომპანიის“ სამი უმსხვილესი კლიენტის სავაჭრო მოთხოვნების და სახელშეკრულებო აქტივების საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის 4,658 ათას ლარს შეადგენს (2018 წლის 31 დეკემბრისთვის: 9,083 ათასი ლარი), რაც მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების და სახელშეკრულებო აქტივების 99%-ია (2018 წლის 31 დეკემბრისთვის: 82%).

საკრედიტო რისკზე მაქსიმალური დამოკიდებულება სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის, ანგარიშგების თარიღისთვის, გეოგრაფიული რეგიონის მიხედვით იყო შემდეგი:

	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
‘000 ლარი		
ადგილობრივი	4,087	9,120
სხვა	463	1,952
	4,550	11,072

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კომპანია ყველა საკრედიტო რისკის დაქვემდებარებას შესაბამის დონეს უსადაგებს იმ მონაცემების მიხედვით, რომლებიც ასახავენ მოსალოდნელ ზარალის რისკს (გარე რეიტინგების, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებების, ხელმძღვანელობის ანგარიშების და ფულადი ნაკადების მოლოდინების და კლიენტებზე ხელმისაწვდომი პრეს ინფორმაციის ჩათვლით, მაგრამ არ შემოიფარგლება ამით) და გამოცდილი საკრედიტო განსჯის გამოყენებით. საკრედიტო რისკის დონეები განისაზღვრება ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორებით, რომლებიც დეფოლტის რისკს ასახავს და შესაბამისობაშია გარე საკრედიტო რეიტინგების განმარტებებთან სააგენტოებიდან, როგორიცაა „Fitch Ratings“ (შესაბამისობის შემთხვევაში).

შემდეგი ცხრილი ასახავს ინფორმაციას საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებასა და სავაჭრო მოთხოვნებზე და კლიენტების სახელშეკრულებო აქტივებზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის:

	ბრუტო 31 დეკემბერი 2019	ანარიცხი 31 დეკემბერი 2019	ბრუტო 31 დეკემბერი 2018	ანარიცხი 31 დეკემბერი 2018
‘000 ლარი				
არა ვადაგადაცილებული და არა გაუფასურებული	1,242	(59)	3,576	(49)
0-90 დღემდე ვადაგადაცილება	2,360	(102)	2,441	(307)
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	1,156	(47)	6,273	(862)
	4,758	(208)	12,290	(1,218)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ გამოიყენა 4-წლიანი მომავალი გარემოებების ანალიზი. შემდეგი მნიშვნელოვანი ვარაუდები იქნა გამოყენებული ფულადი ნაკადების მოლოდინების ანალიზისას:

დეფოლტირებული კონტრაქტებისთვის კომპანიამ გამოიყენა დეფოლტის 100%-იანი ალბათობა და არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს რამდენიმე შესაძლო მოვლენების განვითარებას თითოეული მომხმარებელთა ჯგუფისთვის, საკრედიტო ზარალის დადგომის შემთხვევების ჩათვლით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას კომპანიამ გამოიყენა თითოეული კლიენტის მიმდინარე ფინანსურ მდგომარეობაზე ყველა გონივრული და დამხმარე ხელმისაწვდომი ინფორმაცია.

- ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 7% -ის ოდენობით გამოყენებულ იქნა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დისკონტირებისას, დროში ფულის ღირებულების გათვალისწინების მიზნით.

მოდრაობა გაუფასურების რეზერვში სავაჭრო მოთხოვნებთან და სახელშეკრულებო აქტივებთან მიმართებაში

მოდრაობა სავაჭრო მოთხოვნებთან და სახელშეკრულებო აქტივებთან მიმართებაში შექმნილ გაუფასურების რეზერვში წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	ინდივიდუალური გაუფასურება 2019	ინდივიდუალური გაუფასურება 2018
‘000 ლარი		
ნაშთი წლის დასაწყისში	1,218	2,413
წლის წმინდა აღდგენა	(1,010)	(1,195)
ნაშთი წლის ბოლოს	208	1,218

ნაშთები ბანკში

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საქართველოს ბანკებშია განთავსებული, რომელთა ემიტენტის მოკლევადიანი დეფოლტის რეიტინგი, Fitch რეიტინგის საფუძველზე არის B. „კომპანია“ არ მოელოა, რომ რომელიმე კონტრაქტის ვერ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას.

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურება ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი ზარალის მიხედვით და ასახავს დაქვემდებარების მოკლე ხანდაზმულობებს. კომპანია მიიჩნევს, რომ მისი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ხასიათდება დაბალი საკრედიტო რისკით, კონტრაქტების გარე საკრედიტო რეიტინგების მიხედვით.

კომპანია ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას იყენებს სასესხო ფასიანი ქაღალდებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მსგავს მიდგომას.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს მისი ფინანსური ვალდებულებების დროულად შესრულებას. „კომპანიის“ მიდგომა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით მოიცავს, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფას, რომ მას ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დროულად შესასრულებლად, როგორც ნორმალურ, ისე - სტრესულ ვითარებაში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან „კომპანიის“ რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ლიკვიდურობის რისკზე დამოკიდებულება

ქვემოთ მოცემულია ანგარიშგების თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადები. თანხები მოცემულია მთლიანად და დისკონტირების გარეშე და ისინი მოიცავენ მოსალოდნელ საპროცენტო გადახდებს.

31 დეკემბერი 2019

საბალანსო ლირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები		
	სულ	1 წელზე ნაკლები	1-5 წლამდე
‘000 ლარი			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,445	5,445	-
საიჯარო ვალდებულებები	1,130	1,351	1,020
	6,575	6,796	1,020

31 დეკემბერი 2018

საბალანსო ლირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები		
	სულ	1 წელზე ნაკლები	1-5 წლამდე
‘000 ლარი			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,308	5,308	-

მოსალოდნელი არ არის, რომ ვადიანობის ანალიზში შესული ფულადი ნაკადები შესაძლოა მნიშვნელოვნად უფრო ადრე ან მნიშვნელოვნად განსხვავებული ოდენობით წარმოიშვას.

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ საბაზრო ფასების ისეთი ცვლილება, როგორიც არის ვალუტის გაცვლითი კურსები, საპროცენტო განაკვეთები და აქციის ფასები იმოქმედებს „კომპანიის“ შემოსავალზე ან მისი ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს ბაზრის რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

„კომპანია“ არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას მოგებაში ან ზარალში მერყეობის სამართავად.

სავალუტო რისკი

„კომპანია“ დამოკიდებულია სავალუტო რისკზე იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს შეუსაბამობა „კომპანიის“ მიერ განხორციელებული ყიდვა-გაყიდვის და კრედიტების ვალუტებსა და მის სამუშაო ვალუტას შორის.

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). ამ ოპერაციებში გამოყენებული ვალუტის უმეტესობა აშშ დოლარშია დენომინირებული.

სავალუტო რისკზე დამოკიდებულება

„კომპანიის“ დამოკიდებულება სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

'000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2019	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2019	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	501	836	436
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,830	439	7,641
სასესხო მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან	-	-	826
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(4,479)	(421)	(4,852)
საიჯარო ვალდებულება	(1,130)	-	-
წმინდა დაქვემდებარება	(2,278)	854	4,051

წლის განმავლობაში გამოყენებულ იქნა შემდეგი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო კურსი		ანგარიშგების თარიღისთვის არსებული კურსი	
	2019	2018	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აშშ დოლარი	2.8192	2.5345	2.8677	2.6766
ევრო	3.1553	2.9913	3.2095	3.0701

ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებაში ლარის კურსის ცვლილებას 2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე იმოქმედებდა მოგებაზე/(ზარალზე) ქვემოთ ნაჩვენები ოდენობებით. ანალიზი უშვებს, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთები, მუდმივი რჩება და ის გამორიცხავს ნებისმიერ გავლენას საპროგნოზო გაყიდვებსა და შესყიდვებზე.

მგრძნობელობის ანალიზი

გონივრულ ფარგლებში ლარის კურსის შესაძლო გამყარება/(შესუსტება), ქვემოთ ნაჩვენების შესაბამისად, აშშ დოლართან მიმართებაში 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იმოქმედებდა აშშ დოლარში და ევროში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და იმოქმედებდა მოგებასა ან ზარალზე დაბეგრამდე ქვემოთ ნაჩვენები ოდენობებით. ვალუტის მოძრაობას არ ექნებოდა პირდაპირი გავლენა სხვა სრულ შემოსავალზე ან კაპიტალზე. ანალიზი უშვებს, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთები, მუდმივი დარჩება და ის გამორიცხავს ნებისმიერ გავლენას საპროგნოზო გაყიდვებსა და შესყიდვებზე.

'000 ლარი	მოგება ან ზარალი	
	ლარის გამყარება	ლარის შესუსტება
31 დეკემბერი 2019		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	228	(228)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	(85)	85
31 დეკემბერი 2018		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(405)	405

(v) საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას არ გააჩნია ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები შეფასებული სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით ან გასაყიდად ფლობილი. მაშასადამე საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას საანგარიშგებო თარიღისთვის არ ექნებოდა გავლენა მოგებასა ან ზარალზე ან კაპიტალზე.

18. პირობითი ვალდებულებები

(ა) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. „კომპანიას“ არ აქვს სრული სადაზღვევო ანაზღაურება მისი საწარმოო მოწყობილობების, ან მესამე პირის ვალდებულებებზე ქონებასთან ან გარემოს დაზიანებასთან მიმართებაში, რომელიც წარმოიშვება „კომპანიის“ ქონებასთან ან მის ოპერაციებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებიდან. სანამ „კომპანია“ არ მიიღებს ადეკვატურ სადაზღვევო ანაზღაურებას, იარსებებს რისკი, რომ ზარალს ან კონკრეტული აქტივების განადგურებას ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა „კომპანიის“ ოპერაციებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე.

(ბ) სასამართლო დავა

„კომპანია“ ჩართული არ არის რაიმე სახის მნიშვნელოვან სასამართლო დავაში მოპასუხის სახით. სასამართლო დავის მოსალოდნელ შედეგს „კომპანია“ ითვალისწინებს შესაბამისი მოთხოვნების ამოღებადობის შეფასების პროცესში.

(გ) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს რაიმე დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან გასულია სამი წელი.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებებისა. ამასთან, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს „კომპანიის“ ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(ა) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

„კომპანიის“ პირდაპირი მშობელი კომპანიაა „Huawei Technologies Cooperatief U.A.“. კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა „Huawei Investment & Holding Co., Ltd“, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონმდებლობის ქვეშ რეგისტრირებული იურიდიული პირი.

„კომპანიის“ პირდაპირი მშობელი კომპანია არ გამოსცემს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას. მომდევნო უმაღლესი მშობელი კომპანია, რომელიც გამოსცემს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას არის „Huawei Investment & Holding Co., Ltd“.

(ბ) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წლის განმავლობაში წამყვანმა ხელმძღვანელობამ მიიღო შემდეგი ანაზღაურება:

‘000 ლარი	2019	2018
ხელფასები და ბონუსები	302	360

(გ) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

‘000 ლარი	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		ნაშთები	
	2019	2018	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სასესხო მოთხოვნა:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო	(869)	(1,058)	-	826
საქონლის და მომსახურების შესყიდვა:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო	1,628	1,896	4,467	3,938
საქონლის და მომსახურების გაყიდვა:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო	1,504	1,701	483	1,958
როიალტის საფასური*:				
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო	-	797	-	797

* როიალტი უნდა იქნას გადახდილი „Huawei Technologies Co., Ltd“-ისთან გაფორმებული ინტელექტუალური ქონების სალიცენზიო ხელშეკრულების შესაბამისად. სალიცენზიო ხელშეკრულების თანახმად, „კომპანიამ“ უნდა გადაიხადოს როიალტი პროგრამული უზრუნველყოფის განახლებიდან და ტექნიკური მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის 7,5%-ის ოდენობით, თითოეული სააღრიცხვო პერიოდისთვის. თუმცა, კომპანიას არ დაერიცხა როიალტის საფასური 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, რადგან ზემოაღნიშნული ხელშეკრულების პიოებების მიხედვით, დარიცხვა არ არის აუცილებელი თუ როიალტის საფასური იწვევს უარყოფით საოპერაციო მარჯას 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

ყველა დაუფარავი ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან უნდა ანაზღაურდეს ფულადი სახით, ანგარიშგების თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში.

20. შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებამ დამატებითი გაურკვევლობები შემოიტანა კომპანიის საოპერაციო გარემოში და გავლენა იქონია კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. გლობალური ბაზრის მნიშვნელოვანი არეულობის გამო, რომელიც გამოწვეული იყო კორონავირუსის გავრცელებით, ლარი კვლავ გაუფასურდა აშშ დოლართან მიმართებაში დაახლოებით 10%-ით საანგარიშგებო თარიღიდან მოცემული ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ნებადართვის თარიღისთვის.

კომპანია აკვირდება მოვლენების განვითარების კომპანიის ბიზნესზე გავლენას და საგანგებო ზომები აქვს მიღებული. 17(ბ)(iv) შენიშვნაში მოცემულ მგრძნობელობის ანალიზში ასახულია სავალუტო კურსების გონივრული შესაძლო ცვლილებების გავლენა კომპანიის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე საანგარიშგებო თარიღისთვის. ხელმძღვანელობის მიმდინარე შეფასების მიხედვით, კორონავირუსის გავრცელებას და მის შედეგებს არ ექნებათ არსებითი გავლენა კომპანიის საოპერაციო საქმიანობაზე.

21. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე..

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ მოყვანილი სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში და თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული კომპანიის მიერ.

(ა) შემოსავალი

ინფორმაცია კომპანიის კლიენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ სააღრიცხვო პოლიტიკებზე მოცემულია შენიშვნაში 6(დ).

(ბ) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო ხარჯი;
- საპროცენტო შემოსავალი სასესხო მოთხოვნებზე;
- ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ამონაგები ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

„ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის მიხედვით:

- ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე;

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის გამოთვლისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული კრედიტით) ან ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ კრედიტით

გაუფასურდა, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის კრედიტით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უბრუნდება მთლიანი საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული ამონაგები ან/და ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა ამონაგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(გ) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები კონვერტირდება „კომპანიის“ სამუშაო ვალუტაში, ოპერაციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღისთვის კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში, ამ თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ფულად ერთეულებზე ამონაგები ან ზარალი უცხოურ ვალუტაში წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ ამორტიზირებულ ღირებულებას სამუშაო ვალუტაში, კორექტირებულს ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში, და უცხოურ ვალუტაში არსებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის, გადაყვანილს ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

ოპერაციებში წარმოშობილი ცვლილებები უცხოურ ვალუტაში აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

(დ) მოკლევადიანი თანამშრომელთა სარგებელი

თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელის ვალდებულებები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას. მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმის ფარგლებში მოსალოდნელი გადასახდელი თანხის ვალდებულების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ „კომპანიას“ ექნება ამგვარი თანხების გადახდის მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, თანამშრომლების მიერ უკვე გაწეული მომსახურების შედეგად და თუ ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იქნას შეფასებული.

(ე) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

(ვ) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. ის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა შემთხვევისა, როდესაც ის საწარმოთა გაერთიანებას, ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს უკავშირდება.

(ი) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება. მიმდინარე გადასახადის ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი განაწილების თარიღამდე. კანონი შევიდა ძალაში 2016 წელს და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო საერთაშორისო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან მოგების განაწილების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება პირის ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებას და ზღვარ გადაცილებულ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია მიმდინარე გადახდილი გადასახადისთვის გაუნაწილებელ მოგებაზე 2008-2016 წლებში, თუ ამგვარი მოგება განაწილდება 2017 ან შემდგომ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც ხდება დივიდენდების გადახდა.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ განსაზღვრული ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო ბაზებს და მათ საბალანსო ღირებულებას და, შესაბამისად, არ წარმოიშვება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები და ვალდებულებები.

საგადასახადო ზარალი დაგროვილი წინა პერიოდებში არ შეიძლება იყოს გამოყენებული მომავალი დასაბეგრი მოგების საპირწონედ.

(ზ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი აკუმულირებული გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. თვითწარმოებული აქტივის ღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი დანახარჯების ღირებულებისაგან, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოყვანას, ერთეულების დემონტაჟის და გატანის ხარჯებს და ადგილმდებარეობის დასუფთავების სამუშაოების ჩატარების ღირებულებას, ასევე კაპიტალიზებული სასესხო ხარჯებს. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილის სახით.

როდესაც ძირითადი საშუალების ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ძირითადი კომპონენტები.

ძირითადი საშუალებების გაყიდვით მიღებული ნებისმიერი ამონაგები ან ზარალი განისაზღვრება გაყიდვიდან მიღებული ამონაგების ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება ნეტო სახით, მოგებაში ან ზარალში სხვა შემოსავლის/სხვა ხარჯების ფარგლებში.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების კომპონენტების გამოცვლის ხარჯი აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდო იქნება, რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი „კომპანიაში“ შემოედინება, და მისი ღირებულება შესაძლებელია სანდოდ იქნას შეფასებული. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურები დანახარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, მათი გაწევისთანავე.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან „კომპანიის“ შიდა ძალებით დამზადებულ აქტივთან მიმართებაში, მათი დასრულების და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის თარიღიდან. ცვეთა ეფუძნება აქტივის ღირებულებას, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის მიხედვით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებული აქტივების ცვეთა ხდება იჯარის ვადასა და მათი სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესის განმავლობაში, თუ გონივრულ ფარგლებში აშკარა იქნება, რომ „კომპანია“ მიიღებს საკუთრების უფლებას იჯარის ვადის ბოლოსთვის.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების ერთეულების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადები, მიმდინარე და შესადარის პერიოდში, შემდეგია:

– მანქანა-დანადგარები	10 წელი;
– სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი;
– ელექტრონული მოწყობილობები	3 წელი;
– აქტივები გამოყენების უფლებით	5 წელი;
– სხვა	5 წელი.

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება თითოეული ფინანსური წლის ბოლოს და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(თ) ფინანსური ინსტრუმენტები

2018 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა

კომპანია იყენებს ფასს 9-ს „ფინანსური ინსტრუმენტები“ ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებების და ზოგიერთი არა ფინანსური ერთეულების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების აღიარებასა და შეფასებისთვის.

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება წარმოშობის მომენტში.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება როდესაც კომპანია ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე ხდება. ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა არსებითი ფინანსური კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული

ერთეულისთვის) მის შემენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა არსებითი ფინანსური კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ღირებულებით.

(ii) ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება: ამორტიზირებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ვალის ინვესტიცია; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - კაპიტალის ინვესტიცია; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღირიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს შემდგომ მოყვანილ ოროვე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავი ძირ თანხაზე დარიცხული პროცენტის გადახდებს წარმოადგენს.

ვალის ინვესტიცია შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდებს წარმოადგენს.

თავდაპირველი აღიარებისას კაპიტალის ინვესტიციისთვის რომელიც არ არის სავაჭროდ ფლობილი, კომპანიას შეუძლია უპირობოდ აირჩიოს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვა. ეს არჩევანი ხორციელდება თითოეული ინვესტიციის დონეზე.

ყველა ფინანსური აქტივი რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თავდაპირველი აღიარებისას, კომპანიას შეუძლია შეუქცევად აღიაროს ფინანსური აქტივი რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს პირობებს, როგორც შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ეს აღმოჩენის ან მნიშვნელოვნად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობას რომელიც სხვაგვარად წარმოიშვებოდა.

კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს სასესხო მოთხოვნებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს და არის კლასიფიცირებული ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიაში. აღნიშნული აქტივები შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზირებული ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებიდან მიღებული ამონაგები და ზარალი და გაუფასურება

აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ამონაგები ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავდა საბანკო ნაშთებს 3 თვიანი ან ნაკლები ხანდაზმულობით შეძენის დღიდან, რომლებიც ექვემდებარებოდა სამართლიან ღირებულებაში ცვლილებების არა არსებით რისკს.

(iii) ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება - ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის არის სავაჭროდ გამიზნული, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად პირველადი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით აღიარებული ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა ამონაგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში (გარდა კომპანიის საკუთარი საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული სამართლიანი ღირებულების ცვლილებისა, რომელიც აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში). სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და უცხოური გაცვლითი კურსიდან ამონაგები და ზარალი აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. ნებისმიერი ამონაგები ან ზარალი აღიარების შეწყვეტისას ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყველა ფინანსურ ვალდებულებას აფასებს ამორტიზირებული ღირებულებით.

(iv) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცვლილება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება, კომპანიამ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუ არა შეცვლილი აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი ცვლილება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია ახორციელებს მოცემული ცვლილების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები შეცვლილი ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. კომპანია აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს კომპანია ფინანსური ვალდებულებების ჩამოწერის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

კომპანია ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება გირაოში ან სხვა სასესხო უზრუნველყოფაში;
- ფინანსური აქტივის პირობების ცვლილება რომელიც იწვევს „SPPI“ კრიტერიუმთან შეუსაბამობას (ანუ კონვერტაციის ფუნქციის გათვალისწინება).

თუ შეცვლილი აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, აღრიცხული ამორტიზირებული ღირებულებით, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ ცვლილების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, კომპანია ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც ამონაგების ან ზარალის კორექტირებას მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც შეცვლილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს შეცვლილი ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზირებული შეცვლილი ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება შეცვლილი ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი შეცვლილ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა ჩამოწერილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ შეცვლილ პირობებთან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ ცვლილება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას კომპანია იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირების მოთხოვნებთან შესაბამის სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც ცვლილება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას კომპანია აღიარებს ესეთი ცვლილებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, ცვლილების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა კორექტირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, მაგალითად ბანკის მიერ განხორციელებული ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთში სებ-ს მიერ გაკეთებული საკვანძო განაკვეთების ცვლილების გამო, თუ სასესხო ხელშეკრულება აძლევს ბანკს ამის საშუალებას და კომპანიას აქვს საშუალება მიიღოს შეცვლილი განაკვეთი ან მოითხოვოს სესხის ძველ პირობებზე დატოვება ჯარიმის გადახდის გარეშე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, კომპანია ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

კომპანია აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა.

კომპანია ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ფინანსური ვალდებულების კურსის ცვლილება;
- ცვლილება გირაოში ან სხვა სასესხო უზრუნველყოფაში;
- კონვერტაციის შესაძლებლობის დამატება;
- ცვლილება ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციაში.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ ვალის ინსტრუმენტების გაცვლა ან

პირობების ცვლილება მიჩნეულია ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აღიარებულია ვალის განულებიდან მიღებულ ამონაგებსა ან ზარალში. თუ გაცვლა ან ცვლილება არ არის მიჩნეული ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია შეცვლილი ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

(v) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, რომელშიც თითქმის ყველა რისკი და აქტივის ფლობის ანაზღაურება მოიაზრება, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე უფლებებს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, ვადა გასდის ან უქმდება. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც კორექტირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი არაფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაცემის ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(vi) ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება. კომპანიას ამჟამად გააჩნია ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება, თუ ეს უფლება არ არის პირობითი და დამოკიდებული მომავალ მოვლენაზე და გამოყენებადი როგორც ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას ასევე დეფოლტის, ან კომპანიის და ყველა სხვა კონტრაქტის გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული პოლიტიკა

კომპანია აკლასიფიცირებდა თავის არა-წარმოებულ ფინანსურ აქტივებს როგორც სესხებს და მოთხოვნებს.

კომპანია აკლასიფიცირებდა არა-წარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში.

(vii) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ თავდაპირველად ახდენს სესხებისა და მოთხოვნების აღიარებას მათი წარმოშობის თარიღისთვის. ყველა სხვა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება ვაჭრობის თარიღისთვის, როდესაც „კომპანია“ ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე.

„კომპანია“ წყვეტს მისი ფინანსური აქტივის აღიარებას, როცა ვადა გასდის სახელშეკრულებო უფლებებს აქტივიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე, ან თუ ის გადასცემს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ოპერაციაში, რომელშიც გადაეცემა არსებითად ყველა რისკი და ფინანსური აქტივის ფლობის ანაზღაურება. ნებისმიერი პროცენტი გადაცემულ ფინანსურ აქტივზე, რომელსაც ქმნის ან ინარჩუნებს „კომპანია“, აღიარდება ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როცა მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები შესრულდება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

(viii) არაწარმოებული ფინანსური აქტივები – შეფასება

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები ფინანსური აქტივების კატეგორიას განეკუთვნებიან, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომელთა კოტირება აქტიურ ბაზარზე არ ხდება. მსგავსი აქტივები თავდაპირველად აღიარდება, როგორც სამართლიან ღირებულებას დამატებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი ტრანზაქციის ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ სესხები და მოთხოვნები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

სესხები და მოთხოვნების კატეგორია მოიცავს ფინანსური აქტივების შემდეგ კლასებს: სავაჭრო მოთხოვნები, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და სხვა მიმდინარე აქტივები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავდა საბანკო ნაშთებს 3 თვიანი ან ნაკლები ხანდაზმულობით შეძენის დღიდან, რომლებიც ექვემდებარებოდა სამართლიან ღირებულებაში ცვლილებების არა არსებით რისკს.

(ix) არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები - შეფასება

სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებული იყო სამართლიან ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, აღნიშნული ფინანსური ვალდებულებები აღირიცხებოდა ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

(ი) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

2018 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა

ფინანსური ინსტრუმენტები და სახელშეკრულებო აქტივები

კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე:

- ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის;
- სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ინვესტიციებისთვის; და
- სახელშეკრულებო აქტივებისთვის.

კომპანია აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო

ზარალის მიხედვით, შემდეგი შემთხვევების გარდა როდესაც აღირიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- ვალის უზრუნველყოფა რომელსაც სააღრიცხვო თარიღისთვის აქვს დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა ვალის უზრუნველყოფა და საბანკო ნაშთები რომლისთვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ როდესაც:

- არ არის სავარაუდო რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსურ აქტივი 90 დღეზე მეტია ვადაგადაცილებულია;.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც წარმოიშობა ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი რომელიც წარმოიშობა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი აღირიცხება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა ორგანიზაციიდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

კრედიტით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანია აფასებს არის თუ არა ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდები გაუფასურებული კრედიტით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია კრედიტით“, როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია კრედიტით მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- მსესხებლის ან ემიტენტის არსებითი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი, ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- კომპანიის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურისა იმ პირობებით რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაციის გამოყენება; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფასიანი ქაღალდების აქტიური ბაზრის გაქრობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენა

ზარალის რეზერვი, ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსური აქტივებისთვის აკლდება აქტივების მთლიან საბალანსო ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდებისთვის, ზარალის რეზერვი დარიცხულია მოგებაში ან ზარალში და აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია როდესაც კომპანიას აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების იმედი. ინდივიდუალური კლიენტების შემთხვევაში როდესაც ფინანსური აქტივი 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია კომპანია იყენებს მთლიანი საბალანსო ღირებულების ჩამოწერის პოლიტიკას, მსგავსი აქტივების ამოღების წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. კორპორატიული კლიენტებისთვის კომპანია ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. კომპანია აღარ ელის ჩამოწერილი თანხიდან არსებითი ოდენობის ამოღებას. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას კომპანიის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული პოლიტიკა

(ii) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები, რომელებიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, კაპიტალში წილობრივი მონაწილეობის პროცენტის ჩათვლით, შეფასდა თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის იმის განსასაზღვრად, არსებობდა თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი მიჩნეული იყო გაუფასურებულად თუ ობიექტური მტკიცებულება მიანიშნებდა იმაზე, რომ ზარალის შემთხვევა დამდგარია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ, და რომ ზარალის შემთხვევას ჰქონდა საიმედოდ შეფასებადი უარყოფითი გავლენა, აქტივის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე.

ფინანსური აქტივის (ფასიანი ქაღალდების ჩათვლით) გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავდა შემდეგს:

- მევალის ვადაგადაცილება ან დეფოლტი;
- კომპანიის მხრიდან ვადადამდგარი მოთხოვნების რესტრუქტურისაცა ისეთ პირობებზე, რომლებსაც კომპანია სხვაგვარად არ განიხილავდა;
- ნიშნები იმისა, რომ მოვალე ან ემიტენტი გაკოტრდება;
- მსესხებლების ან ემიტენტების გადახდის სტატუსის უარყოფითი ცვლილება კომპანიაში;
- ეკონომიკური გარემოებები რომელებიც უკავშირდება დეფოლტს;
- უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა, ან
- დაკვირვებადი მონაცემები, რომელებიც მიუთითებენ, რომ ადგილი აქვს შეფასებად კლებას მოსალოდნელ ფულად ნაკადებში ფინანსური აქტივების ჯგუფიდან.

დამატებით, ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებისთვის, არსებითი ან განგრძობითი სამართლიანი ღირებულების ვარდნა მის თვითღირებულებაზე დაბლა წარმოადგენდა გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

კომპანია ამ აქტივების გაუფასურების მტკიცებულებას განიხილავს როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ დონეზე. ყველა ინდივიდუალურად არსებითი აქტივი ინდივიდუალურად ფასდება გაუფასურების დასადგენად. ის აქტივები, რომელებიც გაუფასურებულად არ მიიჩნევა, შემდგომ ჯგუფურად ფასდება გაუფასურებაზე, რომელიც გაწეულია, მაგრამ ჯერ არ არის იდენტიფიცირებული. აქტივები, რომელებიც ინდივიდუალურად არსებითი არ არის, ჯგუფურად ფასდება გაუფასურებაზე მსგავსი რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების დაჯგუფების გზით.

ჯგუფური გაუფასურების შეფასებისას კომპანია იყენებდა დეფოლტის ალბათობის, აღდგენის ვადების და გაწეული ზარალის ისტორიულ მაჩვენებლებს, კორექტირებულს ხელმძღვანელობის განსჯით იყო თუ არა მიმდინარე ეკონომიკური და საკრედიტო პირობები ისეთი, რომ ფაქტიური ზარალი ისტორიულ მაჩვენებლებზე მეტი ან ნაკლები ყოფილიყო.

გაუფასურების ზარალი ანგარიშდება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში და აისახება რეზერვის ანგარიშზე. თუ კომპანია მიიჩნევს, რომ არ არსებობს აქტივის აღდგენის რეალური პერსპექტივა, შესაბამისი თანხები ჩამოიწერება. გაუფასურებულ აქტივზე პროცენტის აღიარება გაგრძელდება დისკონტირების დაბრუნების გზით. როდესაც შემდგომი მოვლენა იწვევს გაუფასურების ზარალის კლებას და ამგვარი კლება შესაძლოა ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ წარმოშობილ მოვლენას, გაუფასურების ზარალის კლება აღდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების გარდა) განიხილება ყოველი ანგარიშგების თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ფულადი შემოდინებისგან ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულისგან (CGU).

კომპანიის კორპორატიული აქტივები არ ახდენენ ცალკე ფულადი ნაკადების გენერირებას და ისინი გამოიყენება ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთზე მეტი ერთეულის მიერ. კორპორატიული აქტივები მიკუთვნებულია ფულადი ნაკადის წარმომქმნელ ერთეულზე გონივრულ და თანმიმდევრულ საფუძველზე და მოწმდება გაუფასურებაზე, იმ ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების შეფასების ფარგლებში, რომელსაც კორპორატიული აქტივი მიეკუთვნება.

აქტივის ან ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება (გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით) ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის ან ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აისახება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულების მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება თავდაპირველად ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) გუდვილის საბალანსო ღირებულებაზე და ამცირებს მას, და შემდეგ ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე წილობრივ საფუძველზე, და ამცირებს მას.

გუდვილის გაუფასურების ზარალი არ არის აღდგენადი. სხვა აქტივებთან მიმართებაში, წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალი აღდგენილია თუ აღდგენადი ღირებულების დასადგენად გამოყენებულ შეფასებებშია ცვლილება. გაუფასურების ზარალი აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა განსაზღვრული (გაუფასურების ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(კ) ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ შემთხვევაში თუ, წარსული მოვლენების შედეგად, კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება რომლის შეფასებაც საიმედოდ არის შესაძლებელი, და სავარაუდოა, რომ ამ ვალდებულების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იქნება კომპანიიდან ეკონომიკური სარგებელის გადინება. ანარიცხები გამოითვლება მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების, გადასახადების გადახდამდე არსებული განაკვეთით დისკონტირებით, რაც ასახავს ფულის ღირებულების დროში მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების განაწილება აღიარდება როგორც ფინანსური ხარჯი.

(ლ) იჯარები

კომპანიამ ფასს 16-ი მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით გამოიყენა და მაშასადამე შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული და კვლავ ზასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში არის წარმოდგენილი. ზასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში სააღრიცხვო პოლიტიკების დეტალები განხილულია ცალკე.

2019 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა

ხელშეკრულების დადებისას, კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, კომპანია ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს.

წინამდებარე პოლიტიკა გამოიყენება ხელშეკრულებებზე რომლებიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ.

(i) როგორც მოიჯარე

კომპანია აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ ოდენობას კორექტირებულს ნებისმიერ საიჯარო გადახდებით, რომლებიც დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელდა, დამატებული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი გაწეული ხარჯები და აქტივის დაშლის და შესაბამისი აქტივის გატანის ან მისი აღდგენის ან იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯები სადაც აღნიშნული აქტივი მდებარეობდა, გამოკლებული ნებისმიერი მიღებული საიჯარო სტიმულირება.

შემდგომ ხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყებიდან მისი დასრულების თარიღამდე, გარდა შემთხვევებისა როდესაც იჯარა გადასცემს შესაბამისი აქტივის მფლობელობას კომპანიას იჯარის ვადის ბოლოს, ან იმ შემთხვევაში თუ აქტივი გამოყენების უფლებით თვითღირებულება ასახავს კომპანიის მხრიდან შესყიდვის შესაძლებლობის გამოყენებას. ამ შემთხვევაში მოხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა შესაბამისი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე, რომელიც ძირითადი საშუალებების მსგავს საფუძველზე განისაზღვრება. ამასთანავე, „აქტივი გამოყენების უფლებით“ პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებული იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, კომპანიის მზარდი სასესხო განაკვეთით. ზოგადად, კომპანია დისკონტირების განაკვეთად მის მზარდ სასესხო განაკვეთს იყენებს.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში შეტანილი საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს, მათ შორის „არსებით“ ფიქსირებულ გადახდებს.

საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. მისი გადაფასება ხდება იმ შემთხვევაში თუ კომპანია შეცვლის მის შეფასებას იმისა გამოიყენებს თუ არა ის შესყიდვის, გახანგრძლივების ან შეწყვეტის შესაძლებლობას ან თუ არსებობს გადახდილი „არსებითი“ ფიქსირებული საიჯარო გადახდა.

როდესაც საიჯარო ვალდებულება ამგვარად არის გადაფასებული, „აქტივი გამოყენების უფლებით“ საბალანსო ღირებულების შესაბამისი კორექტირება ხდება, ან აღიარდება მოგებაში ან ზარალში თუ „აქტივი გამოყენების უფლებით“ საბალანსო ღირებულება შემცირებულ იქნა ნულამდე.

ჯგუფმა აირჩია არ აღიაროს „აქტივები გამოყენების უფლებით“ და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე და მოკლევადიან იჯარებზე. კომპანია აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, საიჯარო ვადის მანძილზე.

საიჯარო ვადა ასახავს კომპანიის მიერ იმ პერიოდის გონივრულ შეფასებას, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანია მის განსჯას კონტრაქტის და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე აფუძნებს, რაც იძლევა საშუალებას, რომ ფაქტორები როგორებიცაა ეკონომიკური ჯარიმები, საკანონმდებლო მიდგომა იჯარის განახლებაზე, მოსალოდნელი ცვლილებები რეგულაციაში და კომპანიის სამომავლო ბიზნეს გეგმები ეფექტურად იყოს ასახული საიჯარო ვადის შეფასებაში.

2019 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული პოლიტიკა

2019 წლის 1 იანვრამდე დადებული ხელშეკრულებებისთვის, კომპანიამ განსაზღვრა იყო თუ არა ან შეიცავდა თუ არა გარიგება იჯარას, შემდეგი შეფასების საფუძველზე:

- დამოკიდებული იყო თუ არა გარიგების შესრულება კონკრეტული აქტივის ან აქტივების გამოყენებაზე; და
- გარიგებამ გადასცა თუ არა აქტივის გამოყენების უფლება. გარიგება გადასცემს აქტივის გამოყენების უფლებას თუ ერთ-ერთი შემდგომი პირობა არის დაკმაყოფილებული:
- შემსყიდველს ჰქონდა აქტივის გამოყენების უნარი ან უფლება, გამოშვებული პროდუქციის უმნიშვნელო ოდენობაზე მეტის მიღების ან კონტროლის თანადროულად;
- შემსყიდველს ჰქონდა აქტივზე ფიზიკური წვდომის კონტროლის უნარი ან უფლება, გამოშვებული პროდუქციის უმნიშვნელო ოდენობაზე მეტის მიღების ან კონტროლის თანადროულად; ან
- ფაქტები და გარემოებები მიუთითებდა იმაზე, რომ იმის ალბათობა რომ სხვა მხარეებმა მიიღონ გამოშვებული პროდუქციის უმნიშვნელო ოდენობაზე მეტი, იყო ძალიან დაბალი, და ერთეულის ფასი არ იყო არც ფიქსირებული გამოშვებული პროდუქციის თითო ერთეულზე, არც ტოლი გამოშვებული პროდუქციის თითო ერთეულის მიმდინარე საბაზრო ფასისა.

(i) როგორც მეიჯარე

შესადარის პერიოდში, კომპანიას არ ჰქონდა ფინანსურ იჯარებად კლასიფიცირებული იჯარები.

სხვა იჯარების ფარგლებში ფლობილი აქტივები კლასიფიცირებული იყო საოპერაციო იჯარების სახით და არ იყო აღიარებული კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. საოპერაციო იჯარების ფარგლებში განხორციელებული გადახდები აღიარებულ იქნა მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით საიჯარო ვადის მანძილზე. მიღებული საიჯარო სტიმულირება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აღიარებული იყო როგორც მთლიანი საიჯარო ხარჯის განუყოფელი ნაწილი, საიჯარო ვადის მანძილზე.

23. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტებისა, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- კორექტირებები ფასს სტანდარტების კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებებში.
- ბიზნესის განმარტება (ფასს 3-ის კორექტირებები).
- არსებითის განმარტება (ბასს 1-ისა და ბასს 8-ის კორექტირებები).